



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 003924

„20“ აგვისტო 2024 წ.

ქ.თბილისი

(შეღების ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საჭეუპურებო დანატრუდიბა-გაიმოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამგეში ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ.თბილისი ვ.წიბრაძის ქ. 111

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: „შპს „საქს უიზან საქართველო“ (ს/ს 206203491)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

იუხ. მის: ქ.თბილისი, უიზანის ქ. დასახლება, უიზანის ქ. დიდიქოხი

პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: აღიღია 003924

დამირისცხადი მოიხილბის დანახიი 11

(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: შპს „საქ უიზან საქართველო“ ვადგებულო მაცოცხავენცზე
მომუშავე მონყობილობების მომსახურება მუდმივად უზრუნველყოს, „მაცოცხავენცზე“
(დავალბის არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)
მომუშავე მონყობილობების მომსახურე ცეჭნეოსების სუბიფიციების წესის
დამციცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის N302 დდგნების
შესაბამისად სუბიფიციებური ცეჭნეოსების პოე.

თან ერთვის დანართი: 9 ფუყყედი
(დანართის N, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა 2)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

აღმორისყხაყყოდ სამხიბადღისდღევათა კოდექსის 69⁶ მუხლის მე-2 ნაწილის
(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)
შესაბამისად ამვე კოდექსის 84-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გახეზოსდცვიოი ზედამხედველობის დეპარტამენტის
(თანამდებობა, სახელი, გვარი)
უფროისის შობადგიდე-მთავრეი სახედმნიჭო ინტექციოი ნიდი კოყყოფე

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოყყოფე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

ივზუნცა ვოსციო

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 26 ოქტომბრის №DES32300000161 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, შპს „ტავ ურბან საქართველო“-ზე (ს/კ 206203491), თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 2 ივლისის №2-561 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა), ასევე თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (თვითმფრინავის სადგომი ბაქნის გაგანიერებასა და საჰაერო ხომალდების დამატებითი სადგომების მოწყობა/ექსპლუატაცია), მინისტრის 2019 წლის 17 აპრილის №2-335 ბრძანებით და თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ასაფრენ-დასაფრენი ზოლის 13R ზღურბლის სამიმოსვლო ბილიკთან დამაკავშირებელი ახალი სამიმოსვლო ბილიკის მშენებლობა), მინისტრის 2020 წლის 9 ივლისის №2-596 ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

„მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსების სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №302 დადგენილების შესაბამისად, პირი რომელიც ემსახურება ჰაერის კონდიციონერებისა და სამაცივრო მოწყობილობების ან თბურ ტუმბოებს ვალდებულია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში ჩააბაროს ზემოაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული სასერტიფიკატო გამოცდა. მიუხედავად აღნიშნულისა, ინსპექტირებით დადგინდა, რომ შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს ემსახურებოდა არასერტიფიცირებული პირი.

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 21 თებერვალს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 69⁶ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №081274 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 18 ივლისის №4/14888-24 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით, 79⁸ მუხლის პირველი ნაწილით, 69⁶ მუხლის პირველი ნაწილით და ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, გათვალისწინებულ ქმედებაში და ადმინისტრაციული სახდელის

2024 წლის 20 აგვისტოს №003924 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

სახით შეუფარდა - ჯარიმა 7000 ლარი. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 20 აგვისტოს №003924 ადმინისტრაციული მიწერილობა.



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა

№ 004012

„20“ აგვისტო 2024 წ.

ქ. თბილისი

(შეღების ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო სატყეო-გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი ვ. ნიჟარაძის ქ. 11

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „საქ უჩხან საჭიფელი“ (ს/ს 206203491)

(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

ლ.ს. პ.ს.: ქ. თბილისი, თეიმურაზის დასახლება, თეიმურაზის ქ. 11)

პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელი, ადგილი, სატელეფონო ნომერი)

ბინის 2020 წლის 2 ივნისის №2-561 ბიძგით

გაცემის საფუძველი: სატყეო-გარემოსდაცვითი ზედამხედველობის (სსკვპ №181; 13.12.2005)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: ახიფეთ №004012

ადმინისტრაციული მომსახურების დანიშნულება: №1

(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ №004012 აღმონისფხოვდი პრეზიდენტის დანიში №2

(დავალბის არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 14 ფუხცედი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა 2)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

აღმონისფხოვდი სამხიადილფევადა კოდექსის 79⁷ მუხლისა და 79⁸ მუხლის

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

ტენიჭვის პიხვედი დანილის შესაბამისად.

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გაუმოსდაცვიდი ზედამხედველობის დეპიტატნის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

ფუხტოსის მოადგიდე - მაფაჰი სახედმეფო რიჭეტისი დედი კოხყოფაჰ

თანამდებობის პირის ხელმოწერა:

დ. კოხყოფაჰ

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იფაჰნეზა კოჰტო

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2024 წლის 20 აგვისტოს №004012 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 26 ოქტომბრის №DES32300000161 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, შპს „ტავ ურბან საქართველო“-ზე (ს/კ 206203491), თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 2 ივლისის №2-561 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა), ასევე თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (თვითმფრინავის სადგომი ბაქნის გაგანიერებასა და საჰაერო ხომალდების დამატებითი სადგომების მოწყობა/ექსპლუატაცია), მინისტრის 2019 წლის 17 აპრილის №2-335 ბრძანებით და თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ასაფრენ-დასაფრენი ზოლის 13R ზღურბლის სამიმოსვლო ბილიკთან დამაკავშირებელი ახალი სამიმოსვლო ბილიკის მშენებლობა), მინისტრის 2020 წლის 9 ივლისის №2-596 ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. 2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის III თავის შესაბამისად, ვინაიდან შპს „ტავ ურბან საქართველო“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ იყო განხილული ზოგიერთი გარემოსდაცვითი საკუთხი, კომპანიას დაევალა რიგი დოკუმენტაციის შემუშავება და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში წარდგენა. მათ შორის:

1.1. 2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირველი პუნქტის შესაბამისად საჭიროა დადგინდეს აეროპორტის ტერიტორიის საფარის ფილტრაციული მაჩვენებლები და მიწისქვეშა (გრუნტის) წყლების განლაგების სიღრმე. ინსპექტირებით დადგინდა, რომ კომპანიას არ გააჩნია აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით შემუშავებული დოკუმენტი;

1.2. 2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში თვითმფრინავის მიერ აფრენა-დაშვება ციკლის შესრულების პროცესში წარმოქმნილი ხმაურის აკუსტიკური გაანგარიშება წარმოდგენილი არ არის. აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია გაანგარიშების გზით განისაზღვროს მოსალოდნელი აკუსტიკური სიტუაცია აეროპორტის მახლობლად და ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის დედამიწის ზედაპირზე პროექციების მიმდებარე ტერიტორიაზე. დადგინდა, რომ კომპანიას არ გააჩნია აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით შემუშავებული დოკუმენტი;

1.3. 2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიზნით, საჭიროა შეიქმნას ავტომატური სტაციონარული დანადგარებით აღჭურვილი საავიაციო ხმაურის კონტროლის სამსახური. დადგინდა, რომ კომპანიას არ ახორციელებს საავიაციო ხმაურის კონტროლს და არ ჰყავს ავტომატური სტაციონარული დანადგარებით აღჭურვილი საავიაციო ხმაურის კონტროლის სამსახური;

1.4. 2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-5 პუნქტის შესაბამისად, გზშ ანგარიშში გათვალისწინებული არ არის თვითმფრინავების საწვავით გამართვის (რომელიც ხშირად ხდება პერონის სიახლოვეს) დროს წარმოქმნილი გაფრქვევები. დადგინდა, რომ კომპანიას არ გააჩნია აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით შემუშავებული დოკუმენტი;

1.5. 2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-6 პუნქტის შესაბამისად, გზშ ანგარიშში გათვალისწინებული არ არის თვითმფრინავების რემონტისა და ძრავების გამოცდის დროს წარმოქმნილი გაფრქვევები და ხმაურის დონეები. დადგინდა, რომ კომპანიას არ გააჩნია აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით შემუშავებული დოკუმენტი;

1.6. 2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-9 პუნქტის შესაბამისად, გზშ ანგარიშში წარმოდგენილი ეკოლოგიური რისკის ანალიზი, რომელიც ეხება მთლიან გარემოს (ჰაერს, წყალს, მიწას, მცენარეებს და ცხოველებს), ადამიანის ჯანმრთელობაზე პირდაპირ და არაპირდაპირ ზემოქმედებას, არ არის სრულყოფილი. დადგინდა, რომ კომპანიას არ გააჩნია აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით შემუშავებული დოკუმენტი;

1.7. 2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ავარიული სიტუაციებისათვის (ხანძარი, აფეთქება და სხვა) უნდა იყოს შემუშავებული მომსახურე პერსონალის მოქმედების გეგმა, რაც უზრუნველყოფს მიზანმიმართულ ქმედებებს პერსონალის დაზიანების და ეკოლოგიური დარღვევის გავრცელების ალბათობის მინიმუმამდე დაყვანით. დადგინდა, რომ აღნიშნული გეგმა კომპანიას შემუშავებული აქვს, თუმცა, არ აქვს წარდგენილი შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან;

1.8. 2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-13 პუნქტის შესაბამისად, აეროპორტის საქმიანობა დაკავშირებულია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიურად მოქმედი მრავალი ფაქტორის არსებობასთან. ამის გამო დოკუმენტის მომზადებისას საჭირო იყო შესწავლილი ყოფილიყო აეროპორტის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მავნე ფაქტორების ფონური მდგომარეობა. კერძოდ: შესწავლილი უნდა იქნეს ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებების ფონური კონცენტრაციები, ხმაურის გავრცელება, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, მაიონიზებული გამოსხივება და სხვა.

დადგინდა, რომ აღნიშნული საკითხი ასახულია კომპანიის თვითმონიტორინგის გეგმაში, თუმცა დოკუმენტი არ არის წარდგენილი შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან;

1.9. 2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-14 პუნქტის შესაბამისად, აეროპორტის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე გარემოზე ზემოქმედების შეფასებისას წამყვანია ფიზიკური ფაქტორები. მიუხედავად ამისა დოკუმენტში ხმაური განხილულია ზერელედ, ხოლო ელექტრომაგნიტური გამოსხივების საკითხის შესახებ დოკუმენტში მითითებულია, რომ ლოკატორები მიმართულია ზევით და საკვლევ ტერიტორიაზე ზეგავლენას არ ახდენს. შესაბამისად, უგულებელყოფილია რადიოლოკაციის პრინციპი, ელექტრომაგნიტური ტალღების სხვადასხვა ხერხით (წრიული და ა.შ) გავრცელება გადამცემის საშუალებით და სხვადასხვა მიმღებ ობიექტებიდან ყველა შესაძლო მიმართულებით არეკლილი მეორადი ტალღების გაფრქვევა, აქედან ნაწილის დაფიქსირება მიმღებით. აღნიშნულ მავნე ფაქტორთა ფონური მდგომარეობა არ არის შესწავლილი. დადგინდა, რომ კომპანიას არ გააჩნია აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით შემუშავებული დოკუმენტი;

1.10. 2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-15 პუნქტის შესაბამისად, საჭიროა ხმაურის დონეების დადგენა, როგორც თვით აეროპორტის ტერიტორიაზე, ასევე მიმდებარე დასახლებაში. ამის შემდეგ ჩატარებული უნდა იყოს ხმაურის გავრცელების მოსალოდნელი დონეების გაანგარიშება რეკონსტრუქციის სამუშაოების დამთავრების შემდეგ (აეროპორტის გამტარიანობის გაზრდის შემდეგ), ხოლო შემდეგ, შესაძლებელია საგნობრივად ხმაურის მდგომარეობის განხილვა. ამასთან, დოკუმენტში ხმაურის დასაშვები დონე მოცემულია ღამის საათებისთვის, ხოლო დღის საათები არ არის განხილული. ასევე, დოკუმენტში გაანალიზირებულია მხოლოდ სამუშაო ადგილებზე მოსალოდნელი ხმაურის დონეები. დადგინდა, რომ კომპანიას არ გააჩნია აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით შემუშავებული დოკუმენტი;

1.11. 2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-16 პუნქტის შესაბამისად, საქართველოში ელექტრომაგნიტური გამოსხივების საკითხები რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით და აღნიშნულთან დაკავშირებით გზმ ანგარიშში მონაცემები საერთოდ არ არის მოცემული. აეროპორტის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მის ტერიტორიაზე განთავსებულია რადიოსიხშირის ელექტრომაგნიტური გამოსხივების დიდი რაოდენობით წყაროები, რომელთა სანიტარული დაცვის ზონები და სხვა პარამეტრები დადგენილი არ არის, ასევე არ არის განხილული აღნიშნული ფაქტორი. საჭიროა აღნიშნული ფაქტორის შეფასება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. ინსპექტირებით დადგინდა, რომ კომპანიას არ გააჩნია აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით შემუშავებული დოკუმენტი, სადაც ასახული იქნება მის ტერიტორიაზე განთავსებული რადიოსიხშირის ელექტრომაგნიტური გამოსხივების წყაროების სანიტარული დაცვის ზონები და სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრები და ზემოქმედების ფაქტორები;

2. 2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის IV თავის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კომპანიამ არ უზრუნველყო სამუშაოების მიმდინარეობისა და დასკვნაში მოყვანილი შენიშვნების შესრულების შესახებ, ანგარიშის შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან წარდგენა;

3. თბოენერგო მომსახურების შენობაში, 44მ² ფართობის იზოლირებულ უბანზე, განთავსებულია დიზელის შენახვისათვის განკუთვნილი რკინის ერთი ცალი 14 ტონიანი რეზერვუარი, რომელსაც არ გააჩნია სასუნთქი სარქველი. ასევე ოთახს არ გააჩნია ვენტილაციის სისტემა (გ ზშ. 42; 52; 82 გვ. და ზდგ. 20; 17 გვ);

4. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, ნავთობპროდუქტების ავტოცისტერნიდან ჩატვირთვისას, ჩატვირთვის ადგილების გარშემო უნდა იყოს სადრენაჟო არხები, საწრეტების მისაღები სარქველები, ნებისმიერი დაღვრილი პროდუქტის სათანადო მიმართულებით გადინებისათვის. თუმცა, ინსპექტირებით დადგინდა, რომ აღნიშნული უბანი არ არის აღჭურვილი დაღვრის შემთხვევისათვის განკუთვნილი შემკრები სადრენაჟო არხებით და საწრეტებით (გ ზშ. 83 გვ);

5. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ თბოენერგომომარაგების კორპუსში განთავსებულ საქვაზე მეურნეობაში არსებული ცხელი წყლის ბოილერების (3 ერთეული) გაფრქვევის მილის ფაქტობრივი სიმაღლე არ შეესაბამება შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან, 2022 წლის 30 დეკემბერს შეთანხმებულ ზდგ ნორმების პროექტში მოცემულ ინფორმაციას. კერძოდ, ფაქტობრივი მდგომარეობით ბოილერის თითოეული მილის სიმაღლეა 14 მეტრი, ხოლო ზდგ-ს ნორმების პროექტის შესაბამისად, ბოილერის გაფრქვევის მილის სიმაღლე შეადგენს 22 მეტრს (ზდგ.20-21 გვ);

6. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად, ტერიტორიაზე არსებული ზედაპირული წყლები ღვარული კანალიზაციის სისტემით უნდა შეუერთდეს ცენტრალური კანალიზაციის შემკრებს, რაც ფაქტობრივი მდგომარეობით ხორციელდება მხოლოდ ნაწილობრივ. კერძოდ №1 და №4 ბაქანზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები გროვდება 60 ტონიან ავზში, რომელიც არ უერთდება საკანალიზაციო სისტემას (გ ზშ. 66 გვ.);

ამასთან, დადგინდა, რომ კომპანიამ არ უზრუნველყო გზშ ანგარიშით გათვალისწინებული გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და შპს „ტავ ურბან საქართველოს“ მიერ არ ხორციელდება ჩამდინარე წყლების მართვა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული სისტემის შესაბამისად. ასევე, ჩამდინარე წყლების ცენტრალურ კანალიზაციაში გადაცემის ტექნიკური საკითხების გადასაწყვეტად, შესაბამის (ცენტრალური საკანალიზაციო სამსახური) სამსახურთან არ არის შეთანხმებული აეროპორტის ჩამდინარე წყლების მიმღები მოწყობილობის დაკომპლექტების საკითხი. შესაბამისად, სანიაღვრე წყლები გაწმენდის გარეშე ჩაედინება მდ. ლოჭინში (გ ზშ.70-71 გვ; 103 გვ);

7. კომპანია, არ ახორციელებს ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის მონიტორინგს გზში ანგარიშში წარმოდგენილი №3 ცხრილის შესაბამისად. შპს „ტავ ურბან საქართველოს“ 2023 წლის 22 დეკემბრის №TAV.GM. 8489 წერილით წარმოდგენილია 2023 წლის I, II, III, IV კვარტალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები (მონიტორინგი განხორციელებულია ატმოსფერულ ჰაერზე, ხმაურზე და ელექტრულ ველებზე). თუმცა, დადგინდა, რომ მონიტორინგი არ არის ჩატარებული ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შეფასების მონიტორინგის სქემით განსაზღვრული პერიოდულობით (ყოველკვირეული, ყოველთვიური) (გზშ. 94-96 გვ);

8. კომპანია არ აწარმოებს გადამფრენი ფრინველების მიგრაციულ პროცესებზე სეზონური დაკვირვება/შესწავლის დოკუმენტაციას. ასევე, არ უზრუნველყო დაკვირვების დაწყებამდე დაკვირვება/შესწავლის დეტალური პროგრამის შემუშავება და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმება (გზშ. გვ-27);

9. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად (თავი 25.7 „ზ.დ.ჩ. ნორმატივების დაცვაზე კონტროლი“, ყოველთვიურად არ ხორციელდება სანიაღვრე ჩამდინარე წყლებში შეწონილი ნაწილაკებისა და ნავთობპროდუქტების შემცველობაზე ლაბორატორიული კონტროლი, ხოლო ლაბორატორიული ანალიზების ჩატარების მეთოდები არ არის შეთანხმებული შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან (გზშ. 73 გვ).

10. ინსპექტირების შედეგად ასევე გამოვლინდა გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შეუსრულებლობის ფაქტი. კერძოდ:

10.1. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ თბოენერგო მომსახურების შენობაში, სამგზავრო ტერმინალის წყალმომარაგებისათვის ხორციელდება ქალაქის მომსახურების ქსელიდან შემოსული წყლის დარბილების პროცესი. კერძოდ, შემოსული წყალი გაივლის ქვიშის ფილტრს (4 ცალი ცილინდრის ქვიშის ფილტრი), გადადის 4 ტონიან რეზერვუარში, სადაც ხდება მასში ტექნიკური მარილის ჩაყრა და ქლორით დამუშავება. აღნიშნული პროცესის შემდეგ, წყალი გაივლის ნახშირის ფილტრებს და მიეწოდება აეროპორტს ტექნიკური დანიშნულებით. წყლის ქლორით დამუშავებისას, ხდება ქლორის რაოდენობის კონტროლი და ანალიზი, რის საფუძველზეც რეგულირდება მისი რაოდენობა. კომპანიას გააჩნია საკუთარი ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს აეროპორტში მოწოდებული წყლის ხარისხის კონტროლს და ატარებს მხოლოდ ქიმიურ ანალიზებს. ამასთან, წყლის დარბილების აღნიშნული ტექნოლოგია არ არის განხილული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში;

10.2. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ №1 ბაქანის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია სპეც. მანქანები, სადაც თავსდება "De-anti icing fluid" სითხე. მანქანა აღჭურვილია გათბობის სისტემით, რომლის საშუალებით ხორციელდება სითხის გათბობა და შემდგომ ხდება გამთბარი სითხით თვითმფრინავების გარე ზედაპირების წმენდა, გაყინვისა და კოროზიის საწინააღმდეგოდ. რეცხვისას

2024 წლის 20 აგვისტოს №004012 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

ხდება აღნიშნული სითხის ნაწილობრივ აორთქლება, ხოლო დარჩენილი რაოდენობა ჩაედინება №1 ბაქანის მიმდებარედ მიწისქვეშ განთავსებულ 60 ტონიან რეზერვუარში. აღნიშნული პროცესები არ არის განხილული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში;

10.3. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ აეროპორტის ტერიტორიაზე განთავსებულია მიწისზედა მომსახურების სამსახური ე.წ რამპის სამსახური. რამპის შენობაში არსებული საქვავებს ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი რეზერვუარი და მიწისქვეშა შემკრები რეზერვუარი არ არის განხილული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში და ზღვ ნორმების პროექტში;

10.4. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ აეროპორტში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-მუნიციპალური ნარჩენების განთავსება ხორციელდება ცალკე მდგომ შენობა-ნაგებობაში. დადგინდა, რომ აღნიშნული უბანი აღჭურვილია სანიაღვრე არხებით. აღნიშნული უბნის ან ურნების რეცხვისას, არხების საშუალებით წყალი ორგანიზებულად მიემართება სამსექციან მექანიკურ სალექარში, ხოლო მექანიკური სალექარის გავლის შემდგომ წყალი უერთდება ქალაქის საკანალიზაციო სისტემას, ხოლო მექანიკურ სალექარში დაგროვილი ლამი იტუმბება და თავსდება საყოფაცხოვრებო-მუნიციპალური ნარჩენების უბანზე. აღნიშნული სალექარი არ არის განხილული გზმ ანგარში.

11. ასევე, როგორც სამინისტროს 2023 წლის 3 ნოემბრის №8861/01 წერილით დადგინდა, კომპანიას არ გააჩნდა სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმა;

12. „მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსების სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №302 დადგენილების შესაბამისად, პირი რომელიც ემსახურება ჰაერის კონდიციონერებისა და სამაცივრო მოწყობილობების ან თბურ ტუმბოებს ვალდებულია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში ჩააბაროს ზემოაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული სასერტიფიკატო გამოცდა. თუმცა, როგორც ინსპექტირებით დადგინდა, კომპანიას ემსახურებოდა არასერტიფიცირებული პირი.

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 21 თებერვალს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის პირველი ნაწილის, 79⁷ მუხლის პირველი ნაწილის, 69⁶ მუხლის პირველი ნაწილისა და ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №081274 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 18 ივლისის №4/14888-24 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად ადმინისტრაციულ

2024 წლის 20 აგვისტოს №004012 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით, 79⁸ მუხლის პირველი ნაწილით, 69⁶ მუხლის პირველი ნაწილით და ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა - ჯარიმა 7000 ლარი. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 20 აგვისტოს №004012 ადმინისტრაციული მიწერილობა.

ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, შპს „ტავ ურბან საქართველო“-ზე (ს/კ 206203491) თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 2 ივლისის №2-561 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა), ასევე თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (თვითმფრინავის სადგომი ბაქნის გაგანიერებასა და საჰაერო ხომალდების დამატებითი სადგომების მოწყობა/ექსპლუატაცია), მინისტრის 2019 წლის 17 აპრილის №2-335 ბრძანებით და თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ასაფრენ-დასაფრენი ზოლის 13R ზღურბლის სამიმოსვლო ბილიკთან დამაკავშირებელი ახალი სამიმოსვლო ბილიკის მშენებლობა), მინისტრის 2020 წლის 9 ივლისის №2-596 ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, შპს „ტავ ურბან საქართველო“ ვალდებულია:

1. 2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის III თავის შესაბამისად შეიმუშაოს და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
 - 1.1 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში უზრუნველყოს აეროპორტის ტერიტორიის საფარის ფილტრაციული მაჩვენებლების და მიწისქვეშა (გრუნტის) წყლების განლაგების სიღრმის დადგენა, დოკუმენტის შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენა (2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის III თავის პირველი პუნქტი);
 - 1.2 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარადგინოს, თვითმფრინავის მიერ აფრენა-დაშვება ციკლის შესრულების პროცესში წარმოქმნილი ხმაურის აკუსტიკური გაანგარიშება, აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია გაანგარიშების გზით განისაზღვროს მოსალოდნელი აკუსტიკური ხმაური აეროპორტის მახლობლად და ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის დედამიწის ზედაპირზე პროექციების მიმდებარე ტერიტორიაზე (2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის III თავის მე-2 პუნქტი);
 - 1.3 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში, ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიზნით, შექმნას ავტომატური სტაციონარული დანადგარებით აღჭურვილი საავიაციო ხმაურის კონტროლის სამსახური (2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის III თავის მე-3 პუნქტი);
 - 1.4 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში შეისწავლოს თვითმფრინავების რემონტისა და ძრავების გამოცდის დროს

წარმოქმნილი ხმაურის დონეები, შეიმუშაოს შესაბამისი დოკუმენტი და წარადგინოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის III თავის მე-6 პუნქტი);

- 1.5 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში უზრუნველყოს, ხმაურის დონეების დადგენა, როგორც თვით აეროპორტის ტერიტორიაზე, ასევე მიმდებარე დასახლებაში. ჩაატაროს ხმაურის გავრცელების მოსალოდნელი დონეების გაანგარიშება (შესაძლებელია საგნობრივად ხმაურის მდგომარეობის განხილვა), ღამის და დღის საათებისთვის, ხოლო შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარადგინოს აღნიშნული დოკუმენტი, (2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის III თავის მე-15 პუნქტი);
- 1.6 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში წარადგინოს ეკოლოგიური რისკის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებული დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნება გარემოზე (ჰაერი, წყალი, მიწა, მცენარეები და ცხოველები) და ადამიანის ჯანმრთელობაზე პირდაპირ და არაპირდაპირ ზემოქმედება (2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის III თავის მე-9 პუნქტი);
- 1.7 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში უზრუნველყოს, აეროპორტის საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიურად მოქმედი მრავალი ფაქტორის არსებობის გამო, აეროპორტის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მავნე ფაქტორების ფონური მდგომარეობის (კერძოდ: ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ფონური კონცენტრაციები, ხმაურის გავრცელება, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, მაიონიზებული გამოსხივება და სხვა) შესწავლის ამსახველი დოკუმენტის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენა (2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის III თავის მე-13 პუნქტი);
- 1.8 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში შეიმუშაოს და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარადგინოს დოკუმენტი, სადაც ასახული იქნება აეროპორტის ტერიტორიაზე განთავსებული რადიოსიხშირის ელექტრომაგნიტური გამოსხივების წყაროების სანიტარული დაცვის ზონები და სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრები და ზემოქმედების ფაქტორები (2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის III თავის მე-16 პუნქტი);
2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვის ვადაში თბოენერგო მომსახურების შენობაში, 44 მ² ფართობის იზოლირებულ უბანზე, განთავსებული დიზელის შენახვისათვის განკუთვნილი რკინის ერთი ცალი 14 ტონიანი რეზერვუარი აღჭურვოს სასუნთქი სარქველით, ასევე ოთახში

ნ. ეთიქიძე

მოაწყოს/დაამონტაჟოს ვენტილაციის სისტემა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვის ვადაში ნავთობპროდუქტების ავტოცისტერნიდან ჩატვირთვის ადგილების გარშემო, უზრუნველყოს ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევებისთვის, შემკრები სადრენაჟო არხებისა და საწრეტების მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვის ვადაში უზრუნველყოს, №1 და №4 ბაქანზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების, კანალიზაციის სისტემასთან მიერთება/დაერთება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვის ვადაში მოაწყოს გზშ ანგარიშით გათვალისწინებული გამწმენდი ნაგებობა, ხოლო შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების მართვა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული სისტემის შესაბამისად, ასევე, შესაბამის (ცენტრალური საკანალიზაციო სამსახური) სამსახურთან შეთანხმდეს აეროპორტის ჩამდინარე წყლების მიმღები მოწყობილობის მოწყობის საკითხი, ჩამდინარე წყლების ცენტრალურ კანალიზაციაში გადაცემის ტექნიკური საკითხების გადასაწყვეტად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
6. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის მონიტორინგი გზშ ანგარიშში წარმოდგენილი №3 ცხრილის შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შეფასების მონიტორინგის სქემით განსაზღვრული პერიოდულობით (ყოველკვირეული, ყოველთვიური);
7. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში შეიმუშაოს და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარადგინოს გადამფრენი ფრინველების მიგრაციულ პროცესებზე სეზონური დაკვირვება/შესწავლის დეტალური პროგრამა. შემდგომში დაკვირვება/შესწავლა განახორციელოს შეთანხმებული პროგრამის შესაბამისად;
8. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, უზრუნველყოს სანიაღვრე ჩამდინარე წყლებში შეწონილი ნაწილაკებისა და ნავთობპროდუქტების შემცველობაზე ლაბორატორიული ანალიზების ჩატარების მეთოდების შეთანხმება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან, ხოლო შემდგომ ყოველთვიურად განახორციელოს სანიაღვრე ჩამდინარე წყლებში შეწონილი ნაწილაკებისა და ნავთობპროდუქტების შემცველობაზე ლაბორატორიული კონტროლი, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად.
9. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით უზრუნველყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“

შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესატანხმებლად წარდგენა, სადაც გათვალისწინებული იქნება თვითმფრინავების საწვავით გამართვის დროს წარმოქმნილი გაფრქვევები, თვითმფრინავების რემონტისა და ძრავების გამოცდის დროს წარმოქმნილი გაფრქვევები, თბოენერგომომარაგების კორპუსში განთავსებულ საქვებზე მეურნეობაში არსებული ცხელი წყლის ბოილერების (3 ერთეული) გაფრქვევის მილის ფაქტობრივი სიმაღლე. შემდგომში, საქმიანობის განხორციელების პროცესში მუდმივად უზრუნველყოს პროექტით გათვალისწინებული გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროებისა და პარამეტრების, ასევე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის დადგენილი ნორმების დაცვა;

10. არაუგვიანეს 2025 წლის 5 თებერვლის ჩათვლით უზრუნველყოს ზემოთაღნიშნული ვალდებულებების შესრულების შესახებ ანგარიშის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარმოდგენა (2005 წლის 13 დეკემბრის №181 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის IV თავის მე-2 პუნქტი);

ამასთან, ვინაიდან შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფაქტი, რომელიც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა, შპს „ტავ ურბან საქართველო“ ვალდებულია ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ცვლილებების გათვალისწინებით, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი პროცედურების გავლის მიზნით.

ნ. ეთიქიძე